ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №78

18.02.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე (**ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“**), ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე (**ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი**).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **ანა ლაშხი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **მიხეილ ამაშუკელი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ნიკოლოზ ქობულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
3. **ლევან მამალაძე** -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

/**მომხსენებელი: გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი/

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

/**მომხსენებელი: ნიკოლოზ ქობულაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გიგა გიგაშვილმა.

მომხსენებელი, ბატონი გ. გიგაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ წარმოდგენილია როგორც 2020 წელს, ასევე 2019 წელს განხორციელებული სამუშაოების ანგარიში.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

- 2019-2020 წლებში, დედაქალაქის მასშტაბით, დაირგო, ჯამში, 34 729 ძირი ხე, 68 758 ძირი ბუჩქი და 19 593 ძირი ბალახოვანი მცენარე;
- 2019 წელს განხორციელდა „ვერტიკალური გამწვანებული“ კედლის მოწყობა-აღდგენის სამუშაოები. კერძოდ, დავით აღმაშენებლის გამზირზე №59ა-ში მდებარე სახლის კედელზე (რომლის ფართობიც 265 კვადრატული მეტრია) განთავსდა 19 894 ძირი მცირე ზომის მცენარე;
- ჩატარდა ფიტოსანიტარიული კვლევა და წამლობა. შპს „ეკოსერვის ჯგუფის" მიერ შეიწამლა 208 557 ხე 47 460 ბუჩქი;
- 274 710 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაირგო და დაითესა ბალახი;
- 26 911,5 კვადრატულ მეტრ ფართობზე განხორციელდა ნიადაგის მულჩირების სამუშაოები;

- ხმელი და დაავადებული ხეების სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოჭრილია 70 224 დაავადებული ფიჭვის ხე;
- დაირგო 951 000 ძირი სხვადასხვა ჯიშის, სეზონური ყვავილი;
- მერიის შპს ,,ეკოსერვის ჯგუფმა“ მოაწყო ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარა ჯამში 23 შადრევანს.

შადრევნების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით, მომხსენებელმა, ბატონმა გ. გიგაშვილმა დამატებით აღნიშნა, რომ, როდესაც კერძო კომპანიების მფლობელობიდან მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გადავიდა 48 შადრევანი, მხოლოდ 4 შადრევანი ფუნქციონირებდა. ამჟამად, გაწეული სამუშაოების შედეგად, ყველა შადრევანი გამართულად მუშაობს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ბატონმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა ჰაერის ხარისხზეც და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ინიცირებით, საკანონმდებლო დონეზე გამკაცრებული რეგულაციების საფუძველზე, დღეს თბილისში გაუმჯობესებულია ჰაერის ხარისხი.

ასევე, მომხსენებელმა, ბატონმა გ. გიგაშვილმა დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა საერთაშორისო თანამშრომლობით განხორციელებული პროექტების შესახებაც და აღნიშნა, რომ:

- 2019 წელს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) გაფორმდა მემორანდუმი. მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა კუს ტბისა და მთაწმინდის დამაკავშირებელი ბილიკის განახლება-მოწყობა;
- GIZ-ის მხარდაჭერით, დაიწყო 20 ჰექტრამდე ხელოვნური ტყეების ბუნებრივ ტყეებად გარდაქმნა;
- აზიის განვითარების ბანკის დახმარებით, შემუშავდა "მწვანე და სარეკრეაციო სივრცის განვითარების სტანდარტი“;
- 2019 წელს, ევროპის საბჭოსთან ერთად დაიწყო პროექტის - „საჯარო სივრცეების დიზაინის, მოწყობისა და რეკონსტრუქციის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება“ განხორციელება.

ასევე, 2019-2020 წლებში განხორციელდა შემდეგი ბაღ-სკვერებისა და პარკების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები:

- **გლდანის მე-6 მიკრორაიონის, მე-7 და მე-20 კორპუსებს შორის არსებული პარკი (ღირებულება: 825 453 ლარი).** რეაბილიტაციის ფარგლებში, სრულად განახლდა სკვერში არსებული ამფითეატრი, ფანჩატურები, შადრევანი, არსებული ფურნიტურა, საფეხმავლო ბილიკები, კალათბურთის მოედნის საფარი და ტრიბუნა. რეაბილიტირდა და მოიხატა ექსტრემალური სპორტის მოედნის - სკეიტ პარკისა და ე.წ “ლოკოკინის” კედლები. მოეწყო ძაღლების სასეირნო სივრცე, ველო-ბილიკი, საბავშვო და სპორტული მოედნები. სკვერში, რომლის ფართობიც 20 000 კვადრატული მეტრია, აღდგა გადასასვლელი ხიდი, დაირგო 356 ხე და 60 ძირი ბუჩქი. 6570 კვადრატულ

მეტრ ფართობზე ჰიდროთესვის პრინციპით დაითესა ბალახი, ხოლო 500 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგო ბალახი და განხორციელდა მულჩირების სამუშაოები.

1. **ვასო გოძიაშვილის პარკი (ღირებულება 1 895 575 ლარი).** პარკის ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც 35 237 კვადრატული მეტრია, მოეწყო 2 საბავშვო მოედანი, საპიკნიკე სივრცეები, ,,დეკის" ბილიკებით გამოყოფილი დასასვენებელი ზონები, სავარჯიშო ზონა, საგამოფენო ღია სივრცე, სრულად შეიცვალა საპარკე ავეჯი. ასევე, მოეწყო ცხოველების სასეირნო სპეციალური სივრცე, სარწყავი სისტემა და განათება. დაითესა ბალახის საფარი 2100 კვ.მ. ფართობზე და 15 სახეობის 462 ხე და 6 სახეობის 2300 ძირი ბუჩქი დაირგო. პარკის გარშემო კი მოეწყო დაახლოებით 700-მეტრიანი საველოსიპედე ბილიკი. გარდა ამისა, ბაღში დაიდგა საინფორმაციო დაფა, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ნიადაგში მოხვედრილი ნარჩენის სრულად დაშლის პერიოდის შესახებ.

- **ვარკეთილი 3-ის დასახლების, IIIა მ/რ-ში, №325 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერი (ღირებულება 714 089 ლარი).** პარკის ტერიტორიაზე, საბავშვო და სპორტული მოედანი, სასეირნო ბილიკები, ძაღლების სასეირნო სივრცე, სასმელი წყლის სოკო, საჩრდილობლები, მშრალი ტიპის შადრევანი, სარწყავი და ვიდეო მეთვალყურეობის სისტემები მოეწყო. სრულად განახლდა გარე განათება. პარკში განთავსდა სკამები და ურნები. ამასთან, პარკის ტერიტორიაზე შვედურ-ქართული მეგობრობის კუთხეც მოეწყო. აღნიშნული ტერიტორია, რომლის ფართობიც 15 000-მდე კვადრატულ მეტრს შეადგენს, დაირგო 471 ძირი მწვანე ნარგავი. ამასთან, 1000 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაიგო და 15 255 კვადრატულ მეტრ ფართობზე ჰიდროთესვის პრინციპით დაითესა ბალახი და განხორციელდა ნოყიერი მიწის ნაზავის შეტანის სამუშაოები. 1000 კვადრატულ მეტრ ფართობზე განხორციელდა ნიადაგის მულჩირება.
- **ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკი (ღირებულება 4 500 000 ლარი).** რეაბილიტაციის ფარგლებში სპორტული მოედანი, სამაგიდო თამაშების მოედანი, ფანჩატურები, წყალარინების, სარწყავი, განათებისა და ვიდეო მეთვალყურეობის სისტემები, შინაური ცხოველების სასეირნო სივრცე, სხვადასხვა ტიპის სპორტული მოედნები, ველო და სარბენი ბილიკები, სამაგიდო თამაშების სივრცეები და ერისთავის მხრიდან პარკში შესასვლელი პანდუსი მოეწყო. რეაბილიტირდა პარკში არსებული შენობები და შადრევანი. პარკის ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც 72 100 კვადრატული მეტრია, ჯამში დაირგო 14286 მცენარე (ხე და ბუჩქი).
- **ორხევის დასახლებაში არსებული სკვერი (ღირებულება 362 000 ლარი).** ორხევის დასახლებაში, ახვლედიანის ქუჩის №1-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში, რომლის ფართობიც 13 984 კვადრატული მეტრია, მოწყო, საბავშვო და სპორტული მოედნები, საფეხმავლო ბილიკები, განათება, სასმელი წყლის სოკოები და ფანჩატური. განთავსდა სკამები და ურნები. ტერიტორიის ნაწილზე დაიგო ბალახი და მოეწყო სარწყავი სისტემა, ხოლო ნაწილზე შესრულდა მულჩირების სამუშაოები.

- **ტარას შევჩენკოს სახელობის სკვერი.** რეაბილიტაციის ფარგლებში 532 კვადრატულ მეტრ ფართობზე, სარწყავი და განათების სისტემა, საფხემავლო ბილიკები და გამწვანებული თარგები მოეწყო. დაიდგა სასმელი წყლის სოკო, სკამები და ურნები. მოპირკეთდა ტარას შევჩენკოს ძეგლის პიედესტალი. დაირგო სხვადასხვა სახეობის მცენარეები და დაიგო ბალახი.

- **ჭავჭავაძის გამზ. №23-ის მიმდებარედ არსებული (ნ. მუსხელიშვილის სახელობის) სკვერი.** რეაბილიტაციის ფარგლებში 643 კვადრატულ მეტრ ფართობზე, სარწყავი და განათების სისტემა, საფეხმავლო ბილიკები და გამწვანებული თარგები მოეწყო. დაიდგა სასმელი წყლის სოკო, სკამები და ურნები. დაირგო სხვადასხვა სახეობის მცენარეები და დაიგო ბალახი.

- **ი. ჭავძავაძის გამზ. №27-29-ის მიმდებარედ (სდასუ) არსებული სკვერი.** რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო საფეხმავლო ბილიკი, გარე განათების ქსელი, ფურნიტურა (სკამები, ურნები), დაირგო მწვანე ნარგავები.

- **ი. ჭავჭავაძის №33ა/35-ს შორის, ილიას ბიუსტთან არსებულ სკვერი.** რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყო გარე განათების ქსელი, სარწყავი სისტემა, დაიყარა თეთრი ფერის დეკორატიული ქვა, დაირგო მწვანე ნარგავები და დაითესა ბალახი.

- **გურამიშვილის ძეგლთან არსებული სკვერი.** დამონტაჟდა გარე განათების ქსელი, დაირგო მწვანე ნარგავები და დაიყარა თეთრი ფერის დეკორატიული ქვა.

- **ვარკეთილი, დ. ალექსიძის ქუჩაზე არსებული სკვერი.** სკვერში, რომლის ფართობიც 8000 კვ. მეტრია, მოეწყო საბავშვო მოედანი, საფეხმავლო ბილიკები, განათება. ტერიტორიაზე განთავსდა სკამები და ურნები. დაირგო სხვადასხვა სახეობის მცენარეები და დაითესა ბალახი.

- **"ადამიანისა და მზის" მონუმენტის მიმდებარედ** მოეწყო დეკორატიული აუზი, სარწყავი სისტემა, განათება; განხორციელდა თარგის დატერასება ოვალური, ელიფსური ფორმებით. ორივე თარგში მოეწყო ლენტური განათებები და დამონტაჟდა გრუნტის პროჟექტორები. მონუმენტი "ადამიანი და მზის“ მიმდებარედ დაირგო 425 ძირი სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი, ამასთან, ჰიდრო თესვის პრინციპით 24 300 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა ბალახი.

- **სუხიშვილის ქუჩასა და ჯავახეთის ქუჩების გადაკვეთაზე არსებული სკვერი.** საბავშვო მოედანი, საფეხმავლო ბილიკები, განათება. ტერიტორიაზე განთავსდა სკამები და ურნები. დაირგო სხვადასხვა სახეობის მცენარეები და დაითესა ბალახი.

გარდა ზემოაღნიშნული სამუშაოებისა, ბატონმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა იმ გამწვანების მნიშვნელოვან პროექტებზე, რომელიც განხორციელდა 2019-2020 წლებში. კერძოდ:

2018-2019 წლებში, 11 9000 ჰექტარ ფართობზე ჩატარდა ტყის ინვენტარიზაცია. ასევე, სამსახურის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სატყეო ფართობების ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმის პროექტი შემუშავდა.

2018-2019 წლებში, მტკვრის მარცხენა სანაპირო, ვახუშტის ხიდის მიმდებარედ (ელიავას მიმდებარედ) 441 ძირი სხვადასხვა სახეობის ხე დაირგო.

2019 წელს, კოსტავა-შარტავას გზა გამყოფ კუნძულებზე, რომელთა ფართობიც 2000 კვადრატული მეტრია, დაირგო სხვადასხვა სახეობის მცენარეები.

2019 წელს, ფარნავაზ მეფის ქუჩაზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში, რომლის სიგრძეც 1000 მეტრია, ხოლო ფართობი 5500 კვ. მეტრი, 350-მდე, სხვადასხვა სახეობის სამ მეტრზე მაღალი ხე დაირგო.

2019 წელს, გლდანის რაიონში, შეშელიძის ქუჩაზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში, 125 ძირი, 3 მეტრზე მაღალი აკაციის ხე დაირგო.

2019 წელს, დიდუბის ხიდთან, გაფრინდაშვილის ქუჩაზე არსებულ 12 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე, 397 ძირი, სხვადასხვა სახეობის ხე დაირგო.

2019 წელს, ვარკეთილში, თაყაიშვილის ქუჩაზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში, 300-მდე სხვადასხვა სახეობის ხე დაირგო.

2019 წელს, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე დაავადებული და ხმობადი ფიჭვების სანაცვლოდ 1000-მდე სხვადასხვა სახეობის ხე დაირგო.

2019 წელს, ავერსის ფარმას მიმდებარე ტერიტორიაზე დაავადებული და ხმობადი ფიჭვების სანაცვლოდ 600-მდე სხვადასხვა სახეობის ხე დაირგო.

2019 წელს, კუს ტბის მიმდებარედ 6,9 ჰექტარ ფართობზე დაირგო სხვადასხვა სახეობის 7600 ნერგი.

2019 წელს, აღმაშენებლის გამზირზე დაავადებული კატალპების ნაცვლად 180 ძირი, 6-მეტრზე მაღალი მინდვრის ნეკერჩხლები დაირგო.

2020 წელს ჟინვალის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, 5.7 ჰა ფართობზე განხორციელდა მწვანე ნარგავების აღდგენის სამუშაოები. გაშენების მიზნით მოეწყო ტერასები, ამოღებულია ორმოები და დაირგო 9460 ძირი ხის ნერგი; ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის მიზნით შემოიღობა 5 ჰა ფართობი, მოეწყო 7596 გრძ.მ. ღობე, გადამუშავდა 7000 კვმ. (აჩიჩქვნა) ტერიტორია.

2019-2020 წლებში რეაბილიტირდა ბუშის ქუჩის, კახეთის გზატკეცილის განაპირა ზოლებისა და მონუმენტი „ადამიანი და მზის“ მიმდებარედ არსებული თარგები - „ადამიანი და მზე“. საერთო ღირებულება 3 561 076 ლარი; ხოლო ბუშის ქუჩისა და კახეთის გზატკეცილის საერთო ღირებულება - 7 874 655 ლარი.

ბუშის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ორივე თარგში, რომლის ფართობიც დაახლოებით 10 000 კვადრატული მეტრია, მოეწყო სარწყავი სისტემა, 4 713 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა ბალახი და დაირგო სხვადასხვა სახეობის 2410 ძირი მწვანე ნარგავი. პირველი თარგი მოეწყო ტერასულად, შეიქმნა მრგვალი კლუმბების კომპოზიციები. პირველ თარგში ბუშის ქუჩის აღმნიშვნელი ახალი საინფორმაციო ბანერი განთავსდა განახლებული დიზაინით, ხოლო მეორე თარგი მთლიანად დახრილი გამწვანებული სიბრტყისგან შედგება.

კახეთის გზატკეცილზე ძირითადი აქცენტი გაკეთდა დენდროლოგიურ ნაწილზე, სარწყავი სისტემის მოწყობასა და განათებაზე. კახეთის გზატკეცილზე დაირგო 25 696 მწვანე ნარგავი (ხე, ბუჩქი, ბალახოვანი მცენარე) და 48 725 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა ბალახი.

2019-2020 წლებში, მტკვრის ორივე სანაპიროზე 427 ძირი აღმოსავლური ჭადარი დაირგო.

2019-2020 წლებში, მონუმენტი „ადამიანი და მზის" მიმდებარე ფერდობებზე და ევროპის ქუჩაზე 699 ძირი მწვანე ნარგავი დაირგო.

2020 წელს, ბაქრაძის ქუჩის 900 მეტრიან შუა ზოლში 471 ძირი სხვადასხვა სახეობის მცენარე დაირგო, დაითესა ბალახი და მოეწყო სარწყავი სისტემა.

2020 წელს, მოსკოვის გამზირზე, ორ კილომეტრიანი შუა ზოლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. მოეწყო ველო და სასეირნო ბილიკები, განათების, სარწყავი და ვიდეო მეთვალყურეობის სისტემები, განთავსდა სკამები და ურნები, დაირგო სხვადასხვა სახეობის 9 063 ძირი მწვანე ნარგავი და 14 558 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა ბალახი.

2020 წელს, 26 მაისის მოედანზე, გზაგამყოფი კუნძულების მოწყობისა და გამწვანების სამუშაოები განხორციელდა. გზაგამყოფ კუნძლებზე, რომელთა ფართობიც 1 000 კვადრატული მეტრია, სხვადასხვა სახეობის 357 ძირი ხე და ბუჩქი, 5264 ძირი ბალახოვანი მცენარე დაირგო.

2020 წელს, ვაჟა-ფშაველას გამზ. (ვაჟას ძეგლთან არსებული) შუა გამყოფი გამწვანებული თარგის მოწყობის სამუშაოები ჩატარდა.

არსებულ გზა გამყოფ კუნძულებზე განხორციელდა სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოები, ტერიტორიებზე შეიტანეს ნოყიერი მიწის ნაზავი, დაითესა ბალახი და დაირგო სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავები:

1. ჩოლოყაშვილის ქუჩის განაპირდა თარგების გამწვანება;
2. ჭავჭავაძის გამზირზე არსებული განაპირა თარგების გამწვანება;
3. ვარკეთილის ხიდის მიმდებარედ ქვედა კუნძულების მოწყობა;
4. მიცკევიჩის 25-ის მიმდებარედ არსებული თარგების გამწვანება;

5. გლდანი, ხიზანიშვილის ქ. მეტრო ახმეტელის მიმდებარედ არსებული კუნძულების გამწვანება;
6. რობაქიძის გამზირზე არსებული გზა გამყოფი კუნძულების გამწვანება;
7. ბერიტაშვილის და ამაშუკელის ქუჩის კვეთაზე არსებული წრიული კუნძულის მოწყობა;
8. გზა გამყოფი კუნძული ზ. ჟვანიას მოედანზე; დაახლოებით 215 კვ. მ.

2020 წელს, გულუას ქუჩაზე ჩატარდა ახალი გზაგამყოფი კუნძულებისა და არსებული შუა ზოლის მასშტაბური გამწვანების სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების ფარგლებში, გორგასლის მოედანთან და მიმდებარე ტერიტორიაზე, 5 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე, გამწვანებული კუნძულები მოეწყო, სადაც 4208 ძირი, მწვანე ნარგავი დაირგო გზაგამყოფ კუნძულებზე, ასევე, სარწყავი სისტემა დამონტაჟდა, ნიადაგის ნოყიერი ნაზავის შეტანის სამუშაოები განხორციელდა და ჰიდრო თესვის პრინციპით დაითესა ბალახი.

სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შემდეგ მნიშვნელოვან პროექტებს:

1. **ვაკის პარკის კასკადის რეაბილიტაცია** (რეაბილიტაციის დასაწყისი - 2020წ.) - **ღირებულება - 354900 ლარი; სამშენებლო ნაწილის ღირებულება - 11 562 637 ლარი.**

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელდა ვაკის პარკის ცენტრალური ღერძის გასწვრივ არსებული კასკადის და შადრევნების აღდგენა/რეაბილიტაციის სრული საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და მის საფუძველზე წელსვე დაიწყება მშენებლობა. პროექტი სავარაუდოდ 2021 წელს დასრულდება.

2. **გლდანის პატარა ტბის გარშემო პარკის გაშენება** (პროექტის დასაწყისი - 2020წ.) - **ღირებულება - 182900 ლარი; სამშენებლო ნაწილის ღირებულება - 3 732 950 ლარი.**

37 000 კვ.მ-მდე ფართობზე დაგეგმილია გლდანის პატარა ტბის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის სარეკრეაციო დანიშნულებით განვითარება. ამჟამად მიმდინარეობს საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, რომლის დასრულების შემდგომ გამოცხადდება ტენდერი პარკის მოწყობის სამუშაოებზე. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია, ველო და საფეხმავლო ბილიკების მოწყობა, განათებისა და სარწყავი სისტემის მოწყობა, სასმელი სოკოების განთავსება. საპარკე სკამებისა და ურნების განთავსება და სხვა.

3. **ვარკეთილის ხევი - პარკის მოწყობა** (პროექტის დასაწყისი - 2020 წ.) - **ღირებულება 253700 ლარი; სამშენებლო ნაწილის ღირებულება -5 592 605 ლარი.**

პროექტით იგეგმება არსებული ბუნებრივი რესურსების, ხე-ნარგავების შენარჩუნებით და გარემოში მინიმალური ჩარევით თანამედროვე სარეკრეაციო სივრცის შექმნა შესაბამისი კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით. პარკის ტერიტორია მოიცავს 3 ჰექტარს, რომელიც დაიყოფა პასიურ და აქტიურ დასვენების ზონად. მოეწყობა

მოსასვენებელი სივრცეები საჩრდილობლებით, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისთვის განკუთვნილი საბავშვო მოედნები დატვირთული სათანადო ატრაქციონებით, სპორტული და სავარჯიშო მოედნები, ღია ამფითეატრი, შადრევანი, წყლის დასალევი შადრევნები, სკეიტ პარკი, გადმოსახედი ბაქანი, განახლდება არსებული საფეხმავლო ხიდი, ველობილიკი, ძაღლების სასეირნო და სავარჯიშო სივრცე, საზოგადოებრივი საპირფარეშო. პარკის ტერიტორია შეივსება ახალი ხე-მცენარეებით და მდელოს სახით გაჩნდება საპიკნიკე არეალები, გათვლილი იქნება ყველა ასაკობრივ ჯგუფზე და სრულად იქნება ადაპტირებული.

ანგარიშის მოხსენების შემდეგ, ბატონმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა სამსახურის სამომავლო გეგმებსა და პროექტების შესახებ, მათ შორის, გარდამავალ პროექტებზეც, რომლის ფარგლებშიც:

1. **2020 წელს დაიწყო და 2021 დასრულდება თემქის ხევის პარკის მოწყობა (2020 – 2021 წელი) – (ღირებულება - 35 7000 ლარი).** თემქის ხევის ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც 25 ჰა-მდეა, სადაც 40 000-მდე ადამიანი ცხოვრობს, ახალ საქალაქო პარკს მოაწყობს. ზღვის უბნის ახალ პარკში, რომლის ფართობიც 25 ჰექტრამდეა, მოეწყობა სკეიტ პარკი, სარბენი, სასეირნო და საველოსიპედე ბილიკები. ასევე, სპორტული და საბავშვო მოედნები. ტერიტორიაზე მოეწყობა კაფე, მედიათეკა, ბელვედერი, ამფითეატრი, ძაღლების სასეირნო სივრცე და ურბანული მებაღეობის ზონა.

ამასთან, ტერიტორიაზე გაკეთდება ორი ხელოვნური ტბა, რომელსაც ერთმანეთთან მდინარე დააკავშირებს. ასევე, მოეწყობა განათების სისტემა, სარწყავი სისტემა და ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა.

ტერიტორიაზე დაგეგმილია 1153 ძირი დიდი და 4531 მცირე ზომის ხის, 820 ბალახოვანი მცენარის, 4640 ძირი ბუჩქის და 60 ტოპიარის დარგვა. ასევე, 55 600 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესება ბალახი. რეკრეაციული ზონის მოწყობასთან დაკავშირებით წინასაპროექტო სამუშაოები 2019 წელს განხორციელდა, რომელიც ასევე, ტერიტორიის გეოდეზიურ კვლევას მოიცავდა.

2. **2020 წელს დაიწყო და 2021 დასრულდება ვაკის პარკი - პარკის რეაბილიტაცია (2020 – 2021 წელი) - ღირებულება - 16 800 000 ლარი.** 2019 წელს განხორციელდა ვაკის პარკის წინასაპროექტო კვლევა და 34 ჰა -მდე ფართობზე არსებული ტერიტორია დამუშავდა ფუნქციური ზონირების რუკა, რომლის საფუძველზე მიმდინარე წელს დაიწყება პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოები განხორციელდება მნიშვნელოვანი ჩარევების და ცვლილებების გარეშე; რეაბილიტაცია ჩაუტარდება პარკის ტერიტორიაზე არსებულ და მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხვულ შენობა-ნაგებობებს; დემონტაჟი გაუკეთდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ უსახურ, დაუსრულებელ კონსტრუქციებს, სრულად განახლდება მცენარეული საფარი; განახლდება საბავშვო და სპორტული ზონები, საველოსიპედე და საფეხმავლო

ბილიკები, სარწყავი და განათების სისტემა, ასევე, მოეწყობა ცხოველების სასეირნო ზონა. კონტრაქტორი კომპანია შერჩეულია და რეაბილიტაცია უკვე დაიწყო.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძლედა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, ლ. ჯაფარიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი), ლ. ჯაფარიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) - სარწყავი სისტემის, ხე-მცენარეების გადარგვის, მულჩირებისა და ასევე, სკვერებისა და პარკების რეაბილიტაციის თაობაზე.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი) დაინტერესდა კრწანისის რაიონში, ვ. გორგასლის ქუჩაზე, მიმდინარე წელს დაგეგმილი გამწვანებისა ან/და სხვა სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ.

დასმულ შეკითხვაზე მომხსენებლის, ბ-ნი გ. გიგაშვილის მიერ გაცემული პასუხის თანახმად, მიმდინარე, 2021 წელს მასშტაბური გამწვანების ღონისძიებები ან/და სარეკრეაციო სივრცეების (სკვერი, პარკი, ბაღი) მოწყობა-რეაბილიტაცია არ არის გათვალისწინებული. ხოლო გასულ წლებში, აღნიშნულ ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: მთლიანად გამწვანდა შუაგამყოფი ზოლი; აღნიშნულ ტერიტორიაზე, არსებულ სატყეო ფართობზე მოხდა ხე-ნარგავების ინვენტარიზაცია, სატყეო ფართობის შესწავლა-აღდგენა და გატყევების სამუშაოები.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“) დაინტერესდა:

- სანიტარული ჭრის ფარგლებში მოჭრილი დაავადებული ხე-ნარგავების ჩანაცვლებითი რგვების გეგმის შემუშავების საკითხით. ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაავადებული ხეების ჭრის ღონისძიებები, რომელიც მთელი თბილისის მასშტაბით ხორციელდება, აუცილებელია, მაგრამ ასევე საჭიროა აღნიშნულ ტერიტორიებზე ჩანაცვლებითი რგვების გეგმის შედგენა, რომლის მიხედვითაც გაიწერება დაავადებული ხეების სანაცვლოდ დასარგველი ხე-ნარგავების დარგვის სავარაუდო პერიოდი. აღნიშნული გეგმა საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს, საკრებულოს წევრებს და მოქალაქეებს, წინასწარ ფლობდნენ ინფორმაციას, რა პერიოდისთვის და რომელ ტერიტორიებზე მოხდება ჩანაცვლებითი რგვები;

- მრავალწლიანი ხე-ნარგავების გადარგვის, ასევე გადარგვის შემდეგ, მისი სიცოცხლისუნარიანობის შემდგომი შენარჩუნების მიზნით, გადარგული მწვანე ნარგავის მოვლა-პატრონობის ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგის საკითხით. ბ-ნი ლევან ჯაფარიძე ასევე დაინტერესდა, გაცემული ნებართვის საფუძველზე გადარგული მწვანე ნარგავებიდან, რამდენმა ხე-მცენარემ გაიხარა და მიზანშეწონილი ხომ არ არის გამკაცრდეს საკომპენსაციო ღონისძიებები (გადარგული

ხის სანაცვლოდ დასარგავი ხე-მცენარეების რაოდენობისა და საკომპენსაციო ღირებულების ოდენობის გაზრდა).

დასმულ შეკითხვებზე მომხსენებლის, **ბ-ნი გ. გიგაშვილის** მიერ გაცემული პასუხების თანახმად, დაავადებული ხე-მცენარეების ჩანაცვლებითი სამუშაოების მოცულობა საკმაოდ დიდია, რაც მოიცავს არა მარტო ახალი, დადგენილი სტანდარტის შესაბამისი ხე-ნარგავების შესყიდვას, დარგვას, ასევე, შემდეგ მათ მოვლა-პატრონობას, რასაც სჭირდება დიდი მოცულობის როგორც მატერიალურ-ფინანსური, ისე ადამიანური რესურსი. აღნიშნული რესურსი მუნიციპალიტეტს არ გააჩნია. ცენტრალურ ტერიტორიებზე დეგრადირებული ხე-ნარგავების ჩანაცვლებას და შემდომში მათ მოვლა-პატრონობას ძირითადად ახორციელებს მუნიციპალური შპს „ეკოსერვის ჯგუფი". ხოლო შიდაკვარტალურ უბნებში ჩანაცვლებითი ღონისძიებების განხორციელება რთულია არასაკმარისი რესურსის გამო. ამიტომ სამსახური თანამშრომლობს გამგეობებთან და მოსახლეობასთან და იმ შემთხვევებში, თუ მოსახლეობა იკისრებს ჩანაცვლებული ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობის ვალდებულებას, შესაძლებელი ხდება ტერიტორიის გამწვანება. შესაბამისად, გეგმის შედგენა კარგია, მაგრამ რთული იქნება აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე.

ხე-ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკვშირებით, ბატონი გ. გიგაშვილის განმარტებით, რთულია მრავალწლიანი და დიდტანიანი, განსაკუთრებით წიწვოვანი ხე-მცენარის გადარგვა, რაც ხშირ შემთხვევაში მცენარის გახმობას იწვევს. მოქმედი რეგულაციებით გათვალისწინებულია ხე-მცენარის გადარგვის შემდეგ, სიცოცხლისუნარიანობის შემდგომი შენარჩუნების მიზნით, გადარგული მწვანე ნარგავის მოვლა-პატრონობის ვალდებულება და იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი წესით დადგენილ პერიოდში ხე-მცენარე გახმება, პასუხსმგებელი პირი ვალდებულია განახორციელოს საკომპენსაციო ღონისძიებები. სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია საერთოდ აიკრძალოს დიდტანიანი ხე-მცენარის გადარგვა, მაგრამ ეს დააზარალებს სამშენებლო ბიზნესს, რადგან ხშირ შემთხვევაში, გადარგვის ნებართვის მისაღებად სამსახურს მიმართავენ სამშენებლო კომპანიები. ხოლო გადარგვის სანაცვლოდ დასარგავი ხე-მცენარის რაოდენობის გაზრდა, იმ ზიანს ვერ აანაზღაურებს, რაც გარემოს ერთი გადარგული ხით ადგება.

ბატონი ლ. ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", მაჟორიტარი წევრი) დაინტერესდა სარწყავი სისტემის საკითხით, რომელიც ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული და მნიშვნელოვანია სანიტარული ჭრების შემდეგ ჩანაცვლებითი რგვებისას.

მომხსენებლის, ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, იმ დიდ, მოცულობით ტერიტორიებზე, რომლის მოვლა-პატრონობის ვალდებულებაც „ეკოსერვის ჯგუფს" აქვს გადაცემული, უკვე მოწყობილია სარწყავი, წვეთოვანი სისტემა, მაგრამ შიდაკვარტალური გამწვანების შემთხვევაში აღნიშნული სისტემის მოწყობა საკმაოდ დიდ თანხებთან და რესურსთან არის დაკავშირებული.

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა აღნიშნა, რომ 2017 წელთან შედარებით, გამწვანების მიმართულებით ბიუჯეტი 71 000 000 ლარით არის გაზრდილი, რაც მისასალმებელია და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ დედაქალაქისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება - გარემოს დაცვა და ეკოლოგიურ მდგომარეობის გაუმჯობესება მმართველი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მან ასევე აღნიშნა, რომ სხდომაზე მისი კოლეგები დაინტერესდნენ სარწყავი სისტემის მოწყობის, სანიტარული ჭრების, ასევე, სანიტარული ჭრების შემდეგ ახალი ნერგების დარგვის საკითხებით, ამიტომ აღნიშნულ თემებზე, გაცემული ამომწურავი პასუხების გამო, ყურადღებას აღარ გაამახვილებს, თუმცა არის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებიც, რომელზეც საჭიროა პასუხები, კერძოდ:

პირველი, მართალია, უკვე დაისვა შეკითხვა სარწყავი სისტემის მოწყობის თაობაზე, მაგრამ, სამსახურის მიერ წარმოდგენილი ანგარიშიდან როგორც ირკვევა, დედაქალაქის მასშტაბით, ბოლო წლებში, 70 000-ზე მეტი დაავადებული ხე-ნარგავი მოიჭრა და მათ ადგილას უნდა მოხდეს ახალი ნერგების დარგვა. შესაბამისად, საინტერესოა, არის თუ არა საკმარისი რესურსი (წყალი, ტექნიკა), რომ აღნიშნული ტერიტორიები, განსაკუთრებით, ძნელად მისადგომი გამწვანებული ადგილები მოირწყას.

მეორე, მულჩირების თემა, რომელიც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის. როგორც ცნობილია, ნიადაგის მულჩირება, ერთი მხრივ, დეკორატიული დანიშნულებით ხდება და საკმაოდ ალამაზებს ტერიტორიას, მაგრამ არის მეორე მხარეც, კერძოდ, მულჩი უშუალოდ ნიადაგის აგროფიზიკურ თვისებებს აუმჯობესებს, იგი იცავს ნიადაგს ეროზიისგან, გარკვეული პერიოდის შემდეგ ნიადაგი მდიდრდება ორგანული მასით; ასევე, მულჩის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელი ხდება ხე-მცენარის მორწყვის პერიოდის შემცირება, რადგან მულჩირებისას ტენი ნაკლებად ორთქლდება. გარდა ამისა, მულჩი აკავებს ნიადაგიდან აზოტის აორთქლებას, რაც ასევე იცავს გარემოს აზოტით დაბინძურებისაგან. თუმცა, იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოყენებული იქნას ეკოლოგიურად სუფთა და შესაბამისი სტანდარტით დამუშავებული მულჩი, საჭიროა ხარისხის კონტროლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, მულჩირების სამუშაოების შესყიდვისას, რა მექანიზმები და პროცედურებია, მულჩის ხარისხისა და სტანდარტის შემოწმების მიზნით.

მესამე, ვარკეთილის ზემო პლატოზე, სკვერის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან ხელშეკრულების გაფორმება რა სტადიაზეა და როდის დაიწყება სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუსაოები.

ბატონი გ. დოხტურიშვილის დასმულ შეკითხვებს უპასუხა მოხსენებელმა, **ბ-ნმა გ. გიგაშვილმა,** რომლის ინფორმაციის თანახმად, სანიტარული ჭრების შემდეგ ჩანაცვლებითი სამუშაოებისას და ახალი ნერგების დარგვისას, რა თქმა უნდა, საჭიროა სარწყავი სისტემის მოწყობაც, რაც ეტაპობრივად წესრიგდება.

მულჩირების თემასთან დაკავშირებით მომხსენებელმა (გ. გიგაშვილი) აღნიშნა, რომ მულჩის დამუშავების უნივერსალური წესი არ არსებობს. თავად ორგანული მულჩი მიიღება ბუნებრივი ხის დამუშავებით (დაქუცმაცებით), შემდეგ, თუ საჭიროა დეკორატიული მულჩის მიღება, მას ემატება ბუნებრივი (ორგანული) საღებავი. ბ-ნმა გ. გიგაშვილმა აღნიშნა, როგორც სატენდერო კომისიის წევრი, თავად იყო დაინტერესებული შესასყიდი პროდუქციის (მულჩის) ხარისხით და ამ მიზნით კონსულტაციები გაირა უცხოელ კოლეგებთან და დარგის სპეციალისტებთან. რა თქმა უნდა, იყო გარკვეული პროცედურული საკითხებიც. ტენდერში მონაწილე ერთ-ერთმა კომპანიამ გაასაჩივრა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ შეთავაზებული მულჩის ხარისხი, რის გამოც მიწოდებული პროდუქტი შემოწმდა ხარისხზე. ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული მულჩის ხარისხი შეესაბამებოდა დაწესებულ მოთხოვნებს.

ბატონი გ. გიგაშვილის მიერ სხდომაზე მიწოდებული ინფორმაციით, შპს „ეკოსერვის ჯგუფი“ იწყებს მულჩის დამუშავებას, რაც დედაქალაქს საკუთარი წარმოების მულჩის გამოყენების საშუალებას მისცემს.

ბატონმა გ. გიგაშვილმა ასევე ისაუბრა ქალაქ თბილისში, ვარკეთილში, ზემო პლატოზე მოსაწყობი სკვერის საკითხზეც და აღნიშნა, რომ ტენდერში გამარჯვებულ ფირმასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. შესაბამისად, ხელშეკრულების დადების შემდეგ, დაიწყება სკვერის მოწყობის სამუშაოები.

ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა აღნიშნა, რომ შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ მიერ მულჩის დამუშავების დაწყება ძალიან კარგია დედაქალაქისთვის, რადგან შესაძლებელი გახდება ერთი მხრივ, საბიუჯეტო თანხების დაზოგვა და, მეორე მხრივ, წარმოებული პროდუქციის ხარისხის კონტროლი.

დაბოლოს, ბატონმა გ. დოხტურიშვილმა მადლობა გადაუხადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახურს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ მომავალშიც კვლავ გაგრძელდება აქტიური თანამშრომლობა.

კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ცნობად იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ნიკოლოზ ქობულაძემ.

მომხსენებლის (ნ. ქობულაძე) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

- გასული წლის განმავლობაში, სააგენტომ რეაგირება მოახდინა 13 500 შეტყობინებაზე. ოპერატიული რეაგირების ეკიპაჟებმა თავშესაფარში 9248 ცხოველი გადაიყვანეს. აღნიშნული მაჩვენებლით ჩანს, რომ, ერთი მხრივ, წინა წლებთან შედარებით, გაზრდილია საზოგადოების მხრიდან ცხოველთა მონიტორინგის ცნობადობა და ნდობა და, მეორე მხრივ, ცხოველთა მონიტორინგის საქმიანობის ხარისხი. გარდა ამისა, ცხოველთა თავშესაფარში გადაყვანილ ცხოველებში მოიაზრება როგორც ძაღლები და კატები, ასევე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვი. ასევე, იყო შემთხვევები, როდესაც ცხოველთა თავშესაფარში მონიტორინგის სამსახურის თანამშრომელთა მიერ გადაყვანილ იქნა გარეული ცხოველებიც, მაგალითად, ენოტი. ყველაზე რთული ისეთი მსხვილფეხა პირუტყვის დაჭერა და ტრანსპორტირებაა, როგორიც არის ცხენი. თუმცა, სააგენტოს მიერ შეძენილი სპეც.ტექნიკითა და ავტომობილებით, მსგავსი სირთულის დაძლევა უკვე შესაძლებელი გახდა.
- სააგენტოს ეკიპაჟებმა 368 სამაშველო ოპერაცია ჩაატარეს და 400-მდე ცხოველი გადაარჩინეს.
- მიუსაფარი ძაღლებისათვის განკუთვნილი კვების აპარატები განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ვეტერანთა კულტურისა და დასვენების პარკში, ვარკეთილი 3-ში მდებარე პარკში და გლდანის მერვე მიკრორაიონში მდებარე პარკში.
- დედაქალაქის მასშტაბით, სხვადასხვა მისამართზე მიუსაფარი ცხოველებისათვის ხის სახლები დაიდგა.
- თავშესაფარში ექიმმა-ვეტერინარებმა 5 000-მდე ქირურგიული ოპერაცია ჩაატარეს. აქედან 4700-ზე მეტი კასტრაცია-სტერილიზაციის ოპერაცია ჩატარდა. სხდომაზე ყურადღება გამახვილდა კასტრაცია-სტერილიზაციის მნიშვნელობასა და შედეგზე. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, შედეგის მომცემი შინაური ცხოველების სტერილიზაცია იქნება.
- სააგენტომ ანტირაბიული (ცოფის საწინააღმდეგო) ვაქცინაცია ჩაუტარა 6 000-მდე ცხოველს.
- მუნიციპალურმა თავშესაფარმა მიიღო და შესაბამისი პირველადი თუ ქირურგიული დახმარება აღმოუჩინა 1 300-მდე ტრავმირებულ ცხოველს.
- თავშესაფარმა მიიღო 1500-მდე დაავადებული ცხოველი.
- მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქდა 700-ზე მეტი ცხოველი.
- ბინადრობის პირვანდელ არეალში დაბრუნდა 3 700-ზე მეტი ცხოველი.
- თავშესაფრიდან მიკედლებულის სტატუსით გავიდა 1900-მე ცხოველი.
- თავშესაფრიდან პატრონს დაუბრუნდა 105 ცხოველი.
- ოპერატიული რეაგირების ეკიპაჟებმა გამოავლინეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 600-ზე მეტი შემთხვევა.
- სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, კომპანია ,,ვესტ-ინვესტმა" ცხოველების მიმკედლებლებს საკვები გადასცა.
- სხვადასხვა რაიონის მოსახლეობასთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები გაიმართა.

- მუნიციპალური თავშესაფრის ტერიტორიაზე კატებისათვის განკუთვნილი სივრცის მშენებლობა დაიწყო. თავშესაფარში გარემონტდა ვოლიერები, მოეწყო და გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა.
- სააგენტომ ოპერატიული დანიშნულების 9 ავტომობილი შეიძინა, რომლებიც აღიჭურვა გალიებით და სხვა შესაბამისი მოწყობილობებით. მომხსენებლის (ნ. ქომულაძე) მიერ აღინიშნა, რომ ფაქტობრივად მთლიანად განახლდა სააგენტოს ავტო-პარკი.
- სააგენტომ კომპანია „ზოომარტის" მიერ გადმოცემული საკვები ცხოველებზე მზრუნველ ადამიანებს დაურიგა.
- სააგენტომ სკოლებში საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილები ჩაატარა, რომელიც კვლავ განახლდება.

მომხსენებლის (ნ. ქობულაძე) მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მოსმენის შემდეგ, სხდომა გაგრძლედა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვეს:

ბატონმა გ. დოხტურიშვილმა - ცხოველთა ევთანაზიის, უპატრონო ძაღლების პოპულაციის მართვისა და მეზობელი მუნიციპალიტეტებიდან უპატრონო ცხოველების მიგრაციის კონტროლის მექანიზმების შესახებ.

ქ-ნმა ა. ლაშხმა - უპატრონო ცხოველების გასხვისება-გაჩუქების, ასევე, ქუჩაში ბინადარი ცხოველების აგრესიულობის კონტროლის მექანიზმების, უცხო ქვეყნების პრაქტიკის გამოყენების, ცხოველების პატრონების მიმართ ცხოველის მოვლა-პატრონობის წესების გამკაცრების, მათ შორის ცხოველების ყიდვა-გაყიდვის კონტროლის, ასევე, პატრონიანი ცხოველების ჩიპირების (იდენტიფიცირების) შესახებ.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", მაჟორიტარი წევრი) - სააგენტომდე ოპერატიულად ინფორმაციის მიტანის მიზნით ე.წ. „მესიჯ-ბოქსების" შექმნის საჭიროების თაობაზე.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო") - ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის გამტარუნარიანობის გაზრდის, ასევე, ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში დასაქმებლი კვალიფიციური კადრების შენარჩუნების შესახებ.

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა ბ-ნმა ნ. ქობულაძემ, რომლის განმარტებით:

ცხოველთა (ძაღლების) ევთანაზია ხდება საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად. თუმცა, ბოლო პერიოდში, ცხოველის მხრიდან გამოვლენილი აგრესიის გამო, აღარ ხდება მისი ევთანაზია. ასევე, ევთანაზიას აღარ ქვემდებარება ჭირით დაავადებული ის ცხოველი (ძაღლი), რომლის მკურნალობის ვალდებულებას პატრონი ან მიმკედლებელი წერილობით (განცხადების დაწერით) აიღებს. თუმცა, ჭირის განკურნების

შემთხვევაშიც, აღნიშნული დაავადება ცხოველს უტოვებს გვერდით მოვლენებს. ძირითადად, ევთანაზიას ექვემდებარება ცხოველი, რომელიც დაავადებულია ლეიშმანიოზნით ან აქვს ბოლო სტადიის სიმსივნური დაავადებება. ასევე, ევთანაზია უტარდება ისეთ ცხოველს, რომლის გადარჩენა შეუძლებელია და აქვს ისეთი ძლიერი ტრამვები ან/და დაზიანებები, რომლებიც არათავსებადია სიცოცხლესთან.

ქუჩაში ბინადარი (უპატრონო) ცხოველების პოპულაციების მართვასთან დაკავშირებით ბ-ნმა ნ. ქობულაძემ აღნიშნა, რომ მხოლოდ მსოფლიოში აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით არის შესაძლებელი პოპულაციების მართვა და ასეთ საშუალებას მხოლოდ სტერილიზაცია-კასტრაცია წარმოადგენს, რომელიც შედეგს გრძელვადიან პერსპექტივაში იძლევა და ამიტომ, ეს დროში გაწელილი პროცესია. თუმცა, პოპულაციის მართვას ხელს ისიც უშლის, რომ თბილისის გარდა, თითქმის სხვა დანარჩენ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში არ ხდება პოპულაციის მართვა და კონტროლი. ამას ისიც ემატება, რომ მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებიდან და რაიონებიდან თბილისში ცხოველთა უკონტროლო მიგრაცია ხდება. რაც შეეხება ცხოველების მხრიდან გამოვლენილი აგრსულობის კონტროლს, სააგენტოში დაფიქსირებული შეტყობინებისას, ცხოველის თავშესაფარში გადაყვანის და დადგენილი წესით სათანადო პროცედურების ჩატარების შემდეგ, ცხოველი პირვანდელ ან სხვა ბინადრობის ადგილში ბრუნდება. თუ ცხოველმა გამოავლინა აგრესიულობა, პირვანდელ საცხოვრებელ გარემოში მხოლოდ დაინტერესებული პირის (შეტყობინების ადრესატის) თანხმობით დაბრუნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცხოველი სხვა გარემოში ბრუნდება.

ბ-ნი ნ. ქობულაძის განმარტებით, მოქმედი წესით, ცხოველთა იდენტიფიკაცია-პასპორტიზაცია (ჩიპირება, ტატუირება ან სხვაგვარად იდენტიფიცირება) სავალდებულოა. ხოლო პატრონის მიერ მოვლა-პატრონობის წესების დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, ცხოველის ქუჩაში გაშვების ფაქტზეც, მოქმედი კანონმდებლობით, დაბალი საჯარიმო სახდელია გათვალისწინებული და შეადგენს მხოლოდ 8 ლარს. თუმცა ფაქტის განმეორების შემთხვევაში, ჯარიმა იზრდება. სამწუხაროდ, პატრონისთვის ცხოველის ჩამორთმევის უფლება ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს არ აქვს.

გარდა ამისა, ბატონმა ნ. ქოულაძემ ისაუბრა ცხოველზე ძალადობის შეთხვევებზეც და აღნიშნა, რომ ცხოველზე ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით სააგენტო შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობს.

ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის თემასთან დაკავშირებით, მომხსენებლის (ნ. ქობულაძე) მიერ აღინიშნა, რომ, ამ ეტაპზე, სააგენტოს საბიუჯეტო დაფინანსების გაზრდით, შესაძლებელი გახდა მუნიციპალური თავშესაფრის, დამხარე შენობა-ნაგებობებისა და ადმინისტრაციული შენობის დაპროექტება-მშენებლობა. თუმცა, დედაქალაქში არსებული უპატრონო ცხოველების რაოდენობის გათვალისწინებით, მუნიციპალური თავშესაფარი მაინც ვერ უზრუნველყოფს ყველა ცხოველის მიღებას.

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოში დასაქმებული კვალიფიცური კადრების თაობაზე ბ-ნი ნ. ქობულაძის მიერ მიწოდებული ინფორმაციით, სისტემატიურად ხდება თანამშრომელთა გადამზადება-კვალიფიკაციის ამაღლება. გარდა უპატრონო

ცხოველებისა, სააგენტო ასევე მუშაობს დედაქალაქში ქვეწარმავლების დაჭერა-გაუვნებელყოფის მიმართულებითაც, რომელსაც სჭირდება მაღალკვალიფიციური თანამშრომელი (დამჭერი).

აზრი გამოთქვეს:

ბატონმა გ. დოხტურიშვილმა, რომელმაც ისაუბრა დედაქალაქში უპატრონო ცხოველების (განსაკუთრებით ძაღლების) პოპულაციის მართვის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ მხოლოდ თბილისის მასშტაბით პრობლემა ვერ მოგვარდება. მისი წინადადებით, შესაძლებელია მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებისა და ქალაქების (გარდაბნის მუმიციპალიტეტი, რუსთავის მერია, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, მცხეთი მუნიციპალიტეტი) შესაბამისი ხელმძღვანელი პირებისა და სამსახურების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრა შედგეს. შეხვედრისას, ცხოველების (განსაკუთრებით ძაღლების) პოპულაციის მართვის ერთიანი სამოქმედო გეგმა და სტრატეგია დაისახება. ასევე, შესაძლებელია დაიგეგმოს ტრენიგები და სემინარები, რა დროსაც ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წარმომადგენლები მოსაზღვრე მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებს გამოცდილებას გაუზიარებენ.

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“), აღნიშნა, რომ დედაქალაქის ქუჩებში უპატრონო ცხოველი არ უნდა იყოს. ამ მიზნით საჭიროა კონცეფციის შემუშავება. ასევე, პრობლემის მოსაგვარებლად, შეიძლება აშენდეს უპატრონო ცხოველთა ისეთი მუნიციპალური თავშესაფარი, სადაც გადაყვანილი იქნება ქუჩაში ბინადარი უპატრონო ცხოველები.

ასევე, ბატონმა ლ. ჯაფარიძემ ისაუბრა მონიტორინგის სააგენტოში დასაქმებულ თანამშრომლებზეც და აღნიშნა, რომ სააგენტოში დასაქმებული თანამშრომლების (მაშველი, დამჭერი) გადინება დაბალი შრომითი ანაზღაურების გამო ხდება. მაშველებისა და ცხოველთა დამჭერების სამუშაო საკმაოდ საპასუხისმგებლო, შრომატევადი და სახიფათოა, შესაბამისად, საჭიროა ამ მიმართულებითაც იმუშაოს სააგენტომ და შეინარჩუნოს კვალიფიციური კადრები, რისთვისაც აუცილებელია გადაიხედოს დასაქმებლთა შრომის ანაზღაურება და მოხდეს ხელფასის გაზრდა.

ბატონმა ნ. ქობულაძემ აღნიშნა, რომ მოსაზღვრე მუნიციპალიტეტებიდან ცხოველთა მიგრაციის შემცირება იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ კოორდინერებულად მოხდება მეზობელ მუნიციპალიტეტებში ცხოველთა სტერილიაზაცია-კასტრაცია, ასევე აშენდება ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრები.

დედაქალაქში მასშტაბური მუნიციპალური თავშესაფრის აშენებასთან დაკავშირებით, ნ. ქობულაძემ განმარტა, რომ თბილისში დაახლოებით 35 ათასამდე უპატრონო, ქუჩაში მცხოვრები ძაღლია, რომელთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 15-20 წელია. შესაბამისად, ამ კონტიგენტს ამ პერიოდის მანძილზე, დედაქალაქი ვერც მატერიალურად და ვერც ფინანსურად ვერ უზრუნველყოფს.

მონიტორინგის სააგენტოში დასაქმებული თანამშრომლების ნაწილში, ბ-ნი ნ. ქობულაძე დაეთანხმა ბატონ. ლ. ჯაფარიძეს და აღნიშნა, რომ საკმაოდ რთულია

კვალიფიციური და მცოდნე მაშველისა თუ დამჭერის შენარჩუნება სააგენტოში და თუ იქნება მხარდაჭერა და ნება, აუცილებლად გადაიხედება სააგენეტოში დასაქმებული დამჭერებისა და მაშველების ხელფასის გაზრდის საკითხი.

ბატონმა გ. დოხტურიშვილმა მადლობა გადაუხადა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ მომავალშიც კვლავ გაგრძელდება აქიტური თანამშრომლობა.

კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით ცნობად იქნა მიღებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ 2020 წელს შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი დოხტურიშვილი